ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
10
იანვარი
№ 4 (10397)
ფასი 5 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა...

## აგვხდენოდეს ყველა ნატვრა

ადამიანისათვის დღესასწაული მაშინაა, როცა ბედნიერია, როცა რაღაც უხარია...

მრავალი დღესასწაული არსებობს ჩვენს ქვეყანაში, იყო იძულებითი ზეიმები, მაგრამ ყველაზე მეტ სიხარულს ახალი წლის დადგომა იწვევს.

ახალი წელი... რამდენს ფიქრობს გულში ადამიანი. ახალი იმედები, წარმატებები, სურვილები.

ღმერთო, ბედნიერი ყოფილიყოს ეს წელი საქართველოსათვის. გვეყო ამდენი გლოვა, ტირილი დარდიანობა, შური და მტრობა ერთმანეთისადმი.

საქართველო ახალი გზით მიდის. ლოცვილ იყოს ეს გზა, რომელსაც თავისუფლებისაკენ, და მოუკიდებლობისაკენ მივყავართ. ეროვნული მოძრაობა ერთებს ზლის. საჭიროა მეტი ურთიერთგაგება, თანხმობის მიღწევა, მეგობრობა და სიყვარული. მაგრამ სანანია, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა ვერ აუწყო ფეხი ამ მოძრაობას და დაპირისპირებულ ძალებად გვევლინებიან, იმ დროს, როცა ერთიანობა არის ქვეყნის ხსნა. ურთიერთ ლანძღვით, მტრობით, კინკლაობით მოპოვებულსაც დავკარგავთ. რა იქნება, რომ შევეწყოთ ერთმანეთს. თუ რამ ხარვეზები გვქონდა წარსულში, ეს ხომ ძალმომრეობითი სისტემის ბრალია.

ხშირად ვამბობ, რომ ბალტიისპირელების ეროვნული მოძრაობა წინ უსწრებს ჩვენისას. ამის მიზეზი, ჩემი აზრით ის არის, რომ მათ მოძრაობას ძველი თაობის ხალხი უდგას სათავეში. იგივე თაობა ჩვენში შიშსა და მონობაშია გამოტარებული. მაგრამ ამან არ უნდა მოგვატეხოს. პირიქით, ბევრი რამ ჯადაკაუსოთ და პროგრესულ ძალებს ამოვუდგეთ გვერდში. საქართველოს ისტორიაში ჩვენ ხომ უამრავი მისაბაძი მამულიშვილები გვყავს, რომელთა ხსოვნა გვავალებს წმინდა მარიამის წილხვედრი მიწის შენახვა-პატრონობას. პატივი ვცეთ წინაპართა ხსოვნას 9 აპრილს, 15 ივლისს, თუ ახლახან სამაჩაბლოში უმიზეზოდ დაღუპულ გმირთა სახელებს. უფრო მტკიცედ, ერთ მუშტად შევიკრათ, რომ ჩვენს შემხედვარე მტერს ჯავრით გული გაუსივდეს.

ამქვეყნიური არსებობის ტრაგიზმის განცდა ქართველი კაცის ბუნებას მემკვიდრეობით მოსდგამს. და შეიძლება, ამიტომაცაა, რომ წუთისოფლის უკუღმა ტრიალს ქართველი არა თუ უძლებდა, გასაჭირში ახალ სასიცოცხლო ძალასაც აგნებდა.

განვლილმა სამოცდაათწლიანმა ისტორიამ, უკუღმართმა ცხოვრებამ გლოვაც სხვანაირი გვასწავლა. სულთა ცხონებისათვის ლოცვა ეკლესიასაც არ დაგვანებეთ. მადლობა, უფალს, რომ სამშობლოს ზეცაზე კვლავ ნათდება განთიადის ვარსკვლავი.

ქართველი ერის მობრუნებაა, ეკლესიებში კვლავაც რომ გაისმის ქართული საგალობლები. ფიქრებით დამძიმებული ადამიანები ანთებენ წმინდა სანთლებს და ჩუმად ლოცულობენ. მათი სალოცავი ხომ თავისუფალი, ბედნიერი საქართველოა.

გარდამავალ პერიოდში ცხოვრების პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. დაცემული ეკონომიკა ადამიანებში შიშს იწვევს. მაგრამ ეს ისევ და ისევ მომავლის რწმენამ უნდა გადასძალოს. თანდათან, ჩვენივე ძალისხმევით უნდა მოვაღონიეროთ ქვეყანა.

კონგრესმენებსა და მრგვალი მაგიდის წევრებს შორის დაპირისპირება, ცხადია, სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს. აშკარაა, რომ ეს სამარცხვინო ტრადიცია, რაც დასაბამიდან მოსდევს ქართველს, ჯერაც არ გამქრალა. დროა დავფიქრდეთ, ლოგიკურად ვიმსჯელოთ, ვაცალოთ უმრავლესობის არჩევანს. ვნახოთ, რას მოიმოქმედებენ მთავრობაში მოსულნი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მაშ, გაიხარე მრავალტანჯულო ქართველო ერო. ეს წელი ყოფილიყოს მეგობრობის, სიყვარულის, ოცნებების ახდენის, მშვიდობის წელი.

ინგა გაბუა,
ინგირის სკოლა-ინტერნატის ისტორიის მასწავლებელი.

## სამაჩაბლოს აღორძინების ფონდს

ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის კოლექტივი მხარს უჭერს ძირძველი ქართული მიწის აღორძინებისათვის წამოწყებულ საქმიანობას. გვწამს და გვჯერა, რომ ქართულ მიწაზე ქართველი კაცის დასახლება საქართველოს მომავლის განმტკიცებისათვის გადადგმული, კიდევ ერთი გამართული ნაბიჯია.

ჩვენი კოლექტივი სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში რიცხავს 8127 მანეთს. დაე, იგი ალალად წაადგეს დაწყებულ საშვილიშვილო საქმიანობას.

გია ხუბულავა,
ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე.

## გაზეთ „ცხოვრების" რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება ცენტრალური გაზეთის „ახალი საქართველოს" ნაცვლად ცენტრალური კომიტეტის გაზეთის „ცხოვრების" რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით გაზეთ „ცხოვრების" უზრუნველყოფამდე მისი გამოცემა განხორციელდეს გაზეთ „სოფლის ცხოვრების" ბაზაზე.

2. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 4 დეკემბრის № 730 დადგენილების მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ახალი საქართველო".

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი
გ. ბერიძე.

29 დეკემბერი, 1990 წ.

## მეტი ყურადღება ცხიმზეთოვან და ეთერზეთოვან კულტურების განვითარებას

გასული წლის მოსავლიდან 1990-1991 წელს ზუგდიდის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებმა გეგმით უნდა დამზადდეს 1500 ტონა ტუნგის ნაყოფი, მათ შორის გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში უნდა დაემზადებინათ 800 ტონა ნაყოფი. ფაქტიურად ეთერზეთების კომბინატს ჩაბარდა მხოლოდ 40 ტონამდე ტუნგის ნაყოფი.

რამ განაპირობა ასეთი ჩამორჩენა? ჯერ ერთი შარშან მაისის თვეში ცხელმა ქარებმა ჩამოყარა ნაყოფის მიმღები ყვავილები. არც მომდევნო თვეებში დადგომია მას კარგი პირობები. ამიტომ მცენარეს შემორჩა უმნიშვნელო რაოდენობის ნაყოფი, მაგრამ ზეთის ალების პერიოდში ხანგრძლივმა თბილმა და მზიანმა ამინდმა ხელი შეუწყო თესლში დიდი რაოდენობით ზეთის დაგროვებას. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ათი წლის მონაცემებიდან ყველაზე მაღალი ხარისხისაა 1990 წლის მოსავლიდან მიღებული ნაყოფი. შესანიშნავი კლიმატური პირობები იყო გასული წლის დეკემბრის თვეში. წინა წლის უხვი, მაგრამ უვარგისი თესლის მიღებით გულგატეხილმა ზოგიერთმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ ხელი არ მოკიდა ტუნგის ნაყოფის შეგროვებას. შედარებით კარგად იმუშავეს ჩხორიის, კოლხიდის, კორცხელის, ჯიხაშკარის კოლმეურნეობებმა და ხეთერის მეურნეობამ. ამასთან გასული წლის შემოდგომაზე ერთი კილოგრამი ტუნგის ნაყოფი არ დამზადებულა აბაათუძნის ტუნგის მეურნეობაში, ტყაის, ნაკატუს, ყულიშკარის, ცაიშის, ურთის, რუხის კოლმეურნეობებში.

ტუნგი ძვირფასი კულტურაა, მის ზეთს დღეს ძალზე დიდი მოთხოვნილება აქვს. ამიტომ დარჩენილ დროში ყველა ზომას უნდა მივმართოთ, რომ არ დავტოვოთ მინდვრად არცერთი მარცვალი.

იანვრის თვეში სპეციალისტების მონაწილეობით ჩატარდება ტუნგის პლანტაციების საზოგადოებრივი დათვალიერება.

სამწუხაროა, რომ ზუგდიდის რაიონში ჯეროვანი პატივისცემით არც ეთერზეთოვანი კულტურები სარგებლობენ. ბევრგან თავი დაანებეს კეთილმოწყობილი დაფნის პლანტაციების გაშენებას. ამიტომ შარშან ნაცვლად 400 ტონისა ორივე სექტორში დამზადებულ იქნა მხოლოდ 258 ტონა დაფნის მწვანე მასა. ეს მაშინ როდესაც სოფლებში დადიან ეგრეთწოდებული თვითმარქვია, „კოოპერატორები" და რესპუბლიკის გარეთ გააქვთ დაფნა. უარეს დღეშია ევკალიპტი. იგი თითქმის გადაშენებამდეა მისული. გასულ წელს ნაცვლად 100 ტონისა დამზადებულ იქნა მხოლოდ 3 ტონა ევკალიპტის მწვანე მასა. შარშან დეკემბრის თვეში რაიონის სოფლებში შემოიჭრნენ დაუდგენელი პირები, რომლებმაც მასიურად გაჩეხეს ევკალიპტის მცენარე. რაისაბჭოს აღმასკომისა და სასოფლო საბჭოს აღმასკომების ჩარევით ეს პროცესი შეჩერებულია. მაგრამ სავალალოა ის ფაქტი, რომ თვითმარქვია, „კოოპერატორები" ზოგჯერ აღწევენ თავიანთ მიზნებს. ეთეროვან კულტურათა ზეთები გამოიყენება (უპირატესად ევკალიპტის ზეთი) ფარმაცევტულ მრეწველობაში. ამიტომ სათანადო ნედლეულის გარეშე დაუშვებელია მისი გადამუშავება, მაგრამ ამას რატომღაც არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ერთ დროს უსათუოდ იქნება ეს არასწორი მოქმედება მკაცრი მსჯელობის საგანი, მაგრამ ჯერე გვიანი იქნება თითებზე კბენანი.

ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატი 15 იანვრიდან იწყებს დაფნის, 20 იანვრიდან კი ევკალიპტის მწვანე მასის დამზადებას. წელს მისი ფასები გაზრდილია. ერთი კილოგრამი დაფნის მწვანე მასა ღირს 70 კაპიკი, ევკალიპტი 50 კაპიკი. (ადრე დაფნის ფასი იყო 60 კაპიკი, ევკალიპტისა 30 კაპიკი). ეთერზეთების წარმოება ზუგდიდის რაიონში ახალი დარგია. მას მხარდაჭერა და თანადგომა ჭირდება. ამასთან ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მას გარკვეული წონადი წვლილი აქვს.

მთელი ძალების მობილიზაციაა საჭირო, რათა ეთერზეთოვან და ცხიმზეთოვან კულტურათა განვითარებას აღმავალი გზა მიეცეს. ამას მოითხოვს დღევანდელობა, განახლებული საქართველოს ეკონომიკის განვითარება.

ე. სახოკია,
ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამახსოვრო: ორცვლიანი მუშაობის შესახებ

ჩაის ხარისხი წარმოადგენს კომპლექსურ ამოცანას და იგი სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერებისა და სპეციალისტების ერთობლივი მცადინეობით უნდა გადაწყდეს. ჩაის ხარისხი ჩამორჩა რაოდენობრივ მატებას. ამავე დროს საგრძნობლად დაირღვა ამ სფეროში მეცნიერებისა და წარმოების, თეორიისა და პრაქტიკის კავშირი. ჩაის წარმოებაში დღეს გავრცელებული ფოთლის კრეფის მეთოდები არამეცნიერულია და ეწინააღმდეგება მცენარის ბიოლოგიურ თვისებებს.

აკადემიკოსი ა. ოპარინი აღნიშნავდა, რომ „თუ არ არსებობს ის დედისეული სუბსტანცია, რომლისგანაც შედგება ჩაის ფერი, არომატი, გემო, აქ ტექნოლოგია უძლურია“, ამიტომ საჭიროა მტკიცედ დავიცვათ ჩაის კრეფის აგროტექნიკური მოთხოვნები, ფოთლის შენახვა, ტრანსპორტირება, გადამუშავების ტექნოლოგია, მზა პროდუქციის შენახვის წესები და სხვა ფაქტორები.

მეჩაიეობაში ამჟამად მთავარი ამოცანაა ის, რომ გამოვლენილი და რეალიზებული იქნეს წარმოების გამოუყენებელი რეზერვები და ინტენსიფიკაციის სხვადასხვა საშუალებები. ამ საშუალებებს შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი უპირატესობა ენიჭება მექანიზაციას.

მობილური ტექნიკის პოტენციური შესაძლებლობის სრული გამოყენების მიზნით დაისვა საკითხი მანქანების (განსაკუთრებით ჩაის საკრეფი მანქანების) ორცვლიან სადღეღამისო მუშაობაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში ორ ცვლად მომუშავე ერთი ჩაის საკრეფი მანქანა დაკომპლექტდება ორი მექანიზატორით, ოთხი დამხმარე მუშით და მას ერთცვლიანთან შედარებით მიემაგრება 2-ჯერ მეტი ფართობი 18-20 ჰექტარი (რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 8 ჰექტარს უდრიდა) ღამის საათებში სამუშაოს მაღალხარისხოვნად შესრულებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მანქანას გაუკეთდება წინა და უკანა შუქფარები, პირველი ცვლა დილის 6 საათის ფარგლებში იწყებს მუშაობას დღის მეორე ნახევრის 4 საათამდე, შემდეგ კი, ტექნიკას სრულ წესრიგში მოიყვანს და მეორე ცვლას გადააბარებს, მეორე ცვლა 17 საათზე იწყებს მუშაობას და მუშაობს ღამის 2-3 საათამდე. პლანტაციის მეორე კრეფის დროს პირველი ცვლა იმუშავებს მეორე ცვლად, მეორე კი პირიქით და ასე გაგრძელდება მთელ სეზონში. მუშაობის ამ პრინციპით მოკრეფილი ჩაის ფოთოლი მთელი დღე-ღამის განმავლობაში უწყვეტად შეიძლება მივაწოდოთ ფაბრიკას, რაც ამცირებს პიკებს და ხარისხსაც აუმჯობესებს, საგრძნობლად იზრდება შრომის ნაყოფიერებაც. ორ ცვლად მომუშავე მექანიზატორთა მორალური და მატერიალური წახალისების მიზნით სასურველია წლის ბოლოს გეგმის ზევით დაერიცხოს ჩაის საკრეფი ერთი მანქანის ამორტიზაციისა და მოვლითი ღონისძიებების თანხა იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფენ ნედლეულის წარმოების წლიური გეგმის შესრულებას რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. იმისათვის, რომ დარწმუნდეთ შემოთავაზებული მეთოდის სარგებლიანობაში, საცდელად ერთი მანქანა ამუშავეთ ორ ცვლად, წლის ბოლოს შეაჯამეთ შედეგი და დარწმუნდებით ამ სიახლის უპირატესობაში.

ორცვლიანი მანქანით პირდაპირი დანახარჯები ცენტნერ ჩაიზე საშუალოდ 10 მანეთი ჯდება, ხელით კი შესაბამისად 35 მანეთი, მეორე ცვლით მოკრეფილი ყოველ 100 ცენტნერი ნედლეული ფაქტობრივად 1000 მანეთი დაჯდება, იმ დროს როდესაც ამ სამუშაოს ხელით შესრულებისას 3500 მანეთი დაიხარჯებოდა, ესე იგი მეორე ცვლით დამზადებულ ფოთოლზე ხელით შრომასთან შედარებით მიღებულია 2500 მანეთი მოგება.

ჩაის მოვლა-მოყვანის ტექნიკაზე მუშაობა არც ისე იოლია. მექანიზატორს შეუძლია კვალიფიციურად მართვა 8-10 საათის განმავლობაში, მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, საინჟინრო სამსახურის მუშაკებს, სამწუხაროდ ეს ხშირად ავიწყდებათ. არც თუ იშვიათად ბევრი მექანიზატორი საჭეს 12-15 საათს მართავს, ხოლო სამუშაო დღე აღრიცხვის ფურცელში 8,2 საათი ეწერება, ჩაის კრეფაზე კი 10 საათი. გადაღლილი მექანიზატორის წარმადობა 8-10 საათის შემდეგ საკმაოდ დაბალია. ასეთი მუშაობით სამუშაოს დამთავრების შემდეგ მექანიზატორი გადაღლილია, ამიტომ არა მარტო ყოველი ცვლის არამედ ტექმოვლასაც იშვიათად უტარებენ, ამიტომ მწყობრიდან ადრე გამოდის ტექნიკა, ამ ნაკლოვანებებს თავიდან ავიცილებთ მანქანების ორცვლიანი სადღეღამისო მუშაობის შემოღებით. ერთი ცვლა იმუშავებს კანონით გათვალისწინებულ საათებში, მოიყვანს ტექნიკას სრულ წესრიგში და გადააბარებს მეორე ცვლას, ამით გაუმჯობესდება მანქანების მოვლითი ღონისძიებები, სამუშაო დღის რეჟიმიც იქნება დაცული.

ორ ცვლად მუშაობა სხვა მხრივაც საინტერესოა. თუ ადრე მანქანებით მოკრეფილი ფოთოლი მეორე დღეს პიკის პერიოდს ემთხვეოდა, ორცვლიანმა მუშაობამ იგი 12 საათით შეამცირა, მოკრეფილი ჩაის ფოთლის მიწოდება ფაბრიკაში უწყვეტად შესაძლოა, რიტმულად დილის საათიდან დღე-ღამის განმავლობაში. ამ მეთოდით 1,5 ჯერ ამაღლდება კომპლექსური მექანიზაციის ეფექტიანობა და დარგის რენტაბელობის დონე, ორჯერ შემცირდება ავტოპარკში ტექნიკის რაოდენობა, მისი შენახვის ხარჯები, ამასთან ეს ხელს შეუწყობს ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების სიმძლავრეთა სრულყოფილად გამოყენებას.

მაგალითად, მეურნეობას ჩვეულებრივად მუშაობის დროს სჭირდება 150000 მანეთის ღირებულების ჩაის საკრეფი მანქანა, რომელიც დღეში მოკრეფს დაახლოებით 40 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, აქედან ფაბრიკა ნორმალურად გადაამუშავებს 20 ტონა ნედლეულს, დანარჩენი 20 ტონა მეორე დღეს ბარდება ფაბრიკას ეგრეთ წოდებული პიკის პერიოდში. ჩვენი მეთოდით ნაცვლად 20 მანქანისა, ორ ცვლად იმუშავებს 10 მანქანა (სამუშაოდან გამონთავისუფლებული 10 მანქანის ღირებულება 75000 მანეთია). ამ მანქანებით მოკრეფილი 20-22 ტონა ჩაის ფოთოლი მექანიზატორებს შეუძლიათ იმავე დღეს ჩააბარონ გადამამუშავებელ მრეწველობას, ღამით მოკრეფილი ფოთოლი კი — იმავე ღამეს ან დილის საათებში, ეს თავიდან აგვაცილებს პიკის პერიოდს და ხარისხობრივი მაჩვენებლებიც შენარჩუნებული იქნება. ერთი ცვლის ჩაის კრეფისას ფოთოლი ყრია ღია ცის ქვეშ, მზე ალხუნებს, აქვს დანაკარგები, მცირდება ხარისხობრივი მაჩვენებლები, ორცვლიანი მუშაობის დროს კი ძირითადად ავიცდენთ ამ ნაკლოვანებებს, გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ ყოველი 100 ტონა პირველი ხარისხის ფოთოლი მეორე ხარისხთან შედარებით იძლევა 51900 მანეთის მოგებას, ხოლო მე-2 ხარისხის არაკონდიციურზე გადასვლით 62000 მანეთის წაგება მიიღება. ამავე დროს კარგი ხარისხის მზა პროდუქციის რეალიზაცია უფრო ადვილდება. მოთხოვნილებაც კმაყოფილი იქნება. ეს იმიტომაც, რომ საკრეფი მანქანებისათვის სათადარიგო ნაწილებისა და სხვა ტექნიკის მიწოდების გეგმა არ სრულდება. მანქანის მოლოდინში წინასწარ აკომპლექტებენ კომპლექსური მექანიზაციის რგოლებს, მიამაგრებენ. სამექანიზაციოდ ამზადებენ პლანტაციებს, შემდეგ იძულებული არიან მომზადებულ პლანტაციებში ისევ ხელით კრიფონ ჩაის ფოთოლი, აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რა დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს მანქანების ორცვლიანი მუშაობა.

მოკრეფილი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ფაბრიკაში ჩაბარებამდე მთელ რიგ ცვლილებებს განიცდის, იგულისხმება წონის დანაკარგები და ხარისხის დაქვეითება, ხოლო ზოგჯერ სრული გაფუჭება და გადაწვა. ფაქტობრივი მაჩვენებლებიდან ცნობილია, რომ ჩაის ფოთლის წონაში დანაკარგების ინტენსივობა დამოკიდებულია ამინდის პირობებზე, ჰაერის ტემპერატურაზე, ფართობით ტენიანობაზე, ნედლეულის სინაზეზე, ფოთლის შენახვის წესებზე და სხვა ფაქტორებზე. დღისით 12 საათის განმავლობაში ფოთლის დანაკარგები მერყეობს 10 პროცენტიდან 20-25 პროცენტის ფარგლებში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ფოთოლი ჩვეულებრივად ბარდება ჩაის ფაბრიკებს 10-20 საათისა და მეტი დაგვიანებით, მაშინ ჩაის ფოთოლის წონაში ბუნებრივი დანაკარგები ძალზე დიდია, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდი საკრეფი მანქანების ორცვლიან მუშაობაზე გადაყვანის შემდეგ საკმაოდ შეამცირებს წონაში დანაკარგებს და შეუნარჩუნებს ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

საილუსტრაციოდ მოყვანილი ფაქტობრივი მაჩვენებლების გაცნობის შემდეგ ეჭვს არ იწვევს მანქანების ორცვლიანი მუშაობის სიკეთე. ეს სიახლე ფრიად პერსპექტიულია, მისი ეკონომიკური ეფექტიანობა კომენტარს არ საჭიროებს, ამ პროგრესული მეთოდის ფართო მასშტაბით დანერგვა ხელს შეუწყობს მეჩაიეობაში მექანიზაციის განვითარების პოტენციური შესაძლებლობის სრულ გამოყენებას.

ძნელი არ არის ამ საქმის გაკეთება და საბოლოოდ ამ მეთოდის ფართო მასშტაბით დანერგვამ უფრო მეტი ეფექტი უნდა მოგვცეს, არც ჩაის კრეფა გაგვიჭირდება და აღარც ძვირი დაგვიჯდება წარმოებული ნედლეული.

ჩაის ფოთლის წარმოებაში ინდუსტრიული მეთოდის სრულყოფილად დანერგვა ყოველი ცენტნერი ჩაის ფოთლის თვითღირებულება 38-40 მანეთით ამცირებს (ხელის შრომის დროს საჭიროა 70-75 მანეთი). ჩაის საკრეფ მანქანას სეზონში საშუალოდ შეუძლია მოკრიფოს 30-90 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, ეს 30-35 ჩაის მკრეფავის შრომის უდრის. ორცვლიან მუშაობის დროს ეს მაჩვენებლები 160 ტონაა და 60-70 მეჩაიეს შრომაა, გაცილებით იაფი ჯდება დანახარჯები ჩაის ფოთლის კრეფაზე.

ერთმა ჩაის საკრეფმა მანქანამ საშუალოდ შეიძლება მოკრიფოს დაახლოებით 100000 მანეთის ნედლეული, ორცვლიან მანქანაზე კი 200000 მანეთის, დღისით მომუშავე მანქანის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით მიღებულია 100000 მანეთით მეტი ნედლეული (გაანგარიშებულია პირველი და მეორე ხარისხი 50-50 პროცენტი).

დიდი პერსპექტივებია დასახული მომავალი წლებისათვის. საკმაოდ გაიზრდება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება და მექანიზირებულად წარმოებული ნედლეულის ხვედრითი წილი. ამიტომ მეჩაიეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სხვა პროგრესულ მეთოდებთან ერთად მანქანებით ორცვლიანი სადღეღამისო მუშაობის პროგრესული მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა.

ჩაის ფოთლის წარმოების შემდგომი ამაღლებისათვის, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაზრდის მიზნით უნდა დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებები ჩაის მოვლა-მოყვანის მანქანების, მცირე მექანიზაციის საშუალებების მეტი რაციონალური გამოყენებისათვის და მათი მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად, ჩაის ფოთლის უდანაკარგო გადაზიდვისათვის და ასე შემდეგ.

მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს შედეგების ანალიზს და შესაძლებლობათა სწორ შეფასებას, არსებული რეზერვების ამოქმედების ღონისძიებათა შემუშავებას, მექანიზაციის განვითარების პოტენციური შესაძლებლობის სრულ გამოყენებას.

ვალიკო ბღამია,
საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვის და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## მშენებელთა საზრუნავი

**ბევრი საზრუნავი აქვს ზუგდიდის „საკოლმშენის“ ხაზურის კოლექტივს. იგი რაიონის კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში აშენებს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს.**

მშენებლობაში არის პრობლემები, მოუწესრიგებელი საკითხები, რაც მუშაობას აფერხებს. არაა დასამალი, რომ გასულ წლებში კასპიდან გვიან აგზავნიდნენ ცემენტს, აჯამეთიდან კი აგურს. დროზე არ ღებულობდნენ შიფერს, ფიცარსა და სხვა მასალას. ამის გამო გეგმა ვერ შესრულდა.

მიუხედავად ხელშემშლელი პირობებისა, ბევრი მშენებელი თავის მხრივ ძალღონეს არ იშურებს დავალების შესასრულებლად. მოწინავეთა შორის არიან მემონტაჟეები ვ. ჭკარკავა, ი. პერტია, ნ. ჯინჯოლავა, კალატოზები გიულ და რეზო კვარაცხელიები, კ. დემურია, დურგლები ვ. მიქავა, ა. გვასალია, ა. მამფორია, ვ. გოგოხია და ე. ჯომიდავა, ისინი მაქსიმალურად იყენებენ დროს, იჩენენ მომჭირნეობას ყველგან და ყველაფერში.

დიდია მომავლის ამოცანები. წელს მშენებლებმა საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ ჩხორიაში ოთხას ადგილიანი კლუბი, ჭითაწყარში უცემენტო საკედლე მასალის საამქრო, ჭკადუაშსა და ჰაქვინჯში მეცხოველეობის ფერმები, ახალკახათში [illegible], რუხში რვაწლიანი სკოლა, ყულიშკარში კი სამედიცინო ამბულატორია.

გვჯერა, კოლექტივის თითოეული წევრი წელს მეტ მონდომებას გამოიჩენს საქმისადმი, ვადამდე შეასრულებს ყველა სამშენებლო სამუშაოს.

ბ. თორია,

კაცობრიობა ხვალ

## „ჩვენ — სამყაროს მოქალაქენი“

პრაღაში ახლახან დასახლებულ ადამიანს ყველაფერი უჩვეულო აქვს, თვით პასპორტიც კი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მისი მფლობელი არა რომელიმე ქვეყნის, არამედ მთელი დედამიწის მოქალაქეა. უჩვეულოა ჩამოსულის გამონათქვამებიც: „თითოეული ადამიანი სამყაროს მოქალაქეა. ჩვენ აღარ უნდა მივვაჩნდეს თავი სხვადასხვა ხალხებისა და სახელმწიფოების წარმომადგენლად. ჩვენ თვითონ უნდა ვცემდეთ პატივს საკუთარ თავში ადამიანებს, თორემ ჩვენი უფლებები არ იქნება უზრუნველყოფილი. სახელმწიფოები ამას ჩვენს ნაცვლად არ გააკეთებენ. ადამიანი რომელიმე ინფორმაციისათვის კი არ დაიბადა, არამედ მთელი მსოფლიოსათვის, და ამიტომაც ჩვენ სამყაროს მოქალაქენი ვართ“.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“

მოვლენის ანალიზი

# „შავი" ბაზრის „შავი" ფასები

„შავი" ბაზარი, როგორც ცნობილია, —ესაა არალეგალური ბაზარი, სადაც საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება არალეგალური გზით. „შავი" ბაზრის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია „შავი" ფასები, ე. წ. სპეკულანტური ფასები, რომლებიც რამდენიმეჯერ განსხვავდება „ჯერ კიდევ არსებული" სახელმწიფო ფასებისაგან. ჩვენი მიზანია გაჩვენოთ აღნიშნულ მოვლენათა ბუნება, მათი გამომწვევი მიზეზები და განვითარების ტენდენციები.

დავიწყოთ იმის გარკვევით, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან „შავი" და „თეთრი" ბაზრები. ამ მიმოხილვის ავტორი ანალიზმა ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: დღევანდელი მდგომარეობით ფაქტიურად არ არსებობს განსხვავება აღნიშნულ ბაზრებს შორის, რაც გამოიხატება ორივე კატეგორიის ბაზარში ფასების გათანაბრებით. ამ დასკვნამდე შემდეგი არგუმენტებისა და ფაქტების ანალიზით მივედით. ესა თუ ის საქონელი თითქმის ერთ და იმავე ფასში იყიდება სახელმწიფო მაღაზიის დახლქვეშ ან ეზოდით, საკომისიო (კომერციულ) მაღაზიაში და კერძო ვაჭართან (ე. წ. სპეკულანტთან). როგორ ფიქრობთ, თუ საკომისიო მაღაზიაში ან კერძო ვაჭართან ფეხსაცმელი „რომიკა" 600 მანეთად იყიდება, მას სახელმწიფო ვაჭრობის ქსელში უფრო იაფად იყიდით, რომ საერთოდ იშოვნით? ან მაცივარი „მინსკი" რა სახელმწიფო მაღაზიაში 1500 მანეთზე ნაკლებად იყიდება? შეიძლება შემომედავონ—ეს ყველაფერი დარღვევით ხდება და შექმნილ სიტუაციასთან არაფერი საერთო არა აქვს. დავეთანხმებით იმაში, რომ ეს ყველაფერი დარღვევით ხდება, თუმცა იმასაც გავუსვამ ხაზს, რომ კანონზომიერად ხდება. რატომ კანონზომიერად? იმიტომ, რომ საქონლის ფასისათვის განმსაზღვრელია არა ის, ლეგალურად იყიდება საქონელი თუ არალეგალურად, არამედ ის, თუ რამდენად აკმაყოფილებს ეს საქონელი მოთხოვნას და რამდენადაა ამ საქონლით მოთხოვნა გაჯერებული. თვითონ წარმოიდგინეთ: თუ მაცივარ „მინსკს" 1500 მანეთზე ნაკლებად ვერ იშოვით, რა აზრი აქვს თქვენთვის სახელმწიფო მაღაზიაში იყიდით მას თუ კერძოში.

მაშ ასე, თუ ფასები ვაჭრობის ყველა სექტორში „გაშავდა", თითქმის გათანაბრდა, მაშინ გამოდის, რომ გამონაკლისის გარდა, ბაზარიც მთლიანად „გაშავდა" და თუ ამას ვაღიარებთ, რა ძნელიც არ უნდა იყოს ეს, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ბაზრის ყველა კატეგორია თანაბარუფლებიანია.

ქ. ზუგდიდის „შავი" ბაზრის ფასები (1990 წ. დეკემბერი) (მანეთობით ერთეულზე: ცალი, კგ.)

| საქონლის დასახელება | „შავი" ბაზრის საშ. ფასები | „შავი" ბაზრის ფასების გადამეტება სახელმწიფო ფასებზე |
|---|---|---|
| **სასურსათო საქონელი** | | |
| ხორცი | 12 | 5,8-ჯერ |
| ხორცის ნაწარმი (ძეხეული) | 19 | 8,0-ჯერ |
| ყავა (ქილა) | 20 | 8,3-ჯერ |
| ხიზილალა (ქილა) | 80 | 5,7-ჯერ |
| შოკოლადის კამფეტები (კოლოფი) | 20 | 8,7-ჯერ |
| არაყი (0,5 ლ) | 12 | 1,3-ჯერ |
| კარაქი | 5 | 2,1-ჯერ |
| **არასასურსათო საქონელი** | | |
| ქალის საზამთრო პალტო | 1500 | 8,0-ჯერ |
| მამაკაცის საზამთრო პალტო | 1200 | 8,2-ჯერ |
| ქალის ლაბადა | 900 | 4,5-ჯერ |
| მამაკაცის ლაბადა | 1000 | 5,0-ჯერ |
| თეთრეული (კომპლექტი) | 90 | 1,5-ჯერ |
| მამაკაცის საზამთრო ჩექმები | 500 | 6,6-ჯერ |
| ქალის საზამთრო ჩექმები | 600 | 4,5-ჯერ |
| ქალის ფეხსაცმელი | 400 | 4,2-ჯერ |
| სიგარეტი (კოლოფი) | 8 | 4,8-ჯერ |
| საძინებელი ოთახის გარნიტური | 5100 | 2,5-ჯერ |
| ოქროს ძეწკვი | 1000 | 8,1-ჯერ |
| მაცივარი | 1200 | 2,5-ჯერ |
| სარეცხი მანქანა | 400 | 2,0-ჯერ |
| ელექტროუთო | 80 | 8,0-ჯერ |
| წიგნები | 80 | 6,0-ჯერ |
| მოტოციკლი | 2800 | 2,5-ჯერ |
| ვიდეომაგნიტოფონი | 6000 | 2,5-ჯერ |
| ფერადი ტელევიზორი | 1800 | 2,0-ჯერ |
| სამკურნალო პრეპარატები | 85 | 8,0-ჯერ |
| **მსუბუქი ავტომანქანები (ათ. მან.)** | | |
| „ვაზი" (2106) | 40 | 4,1-ჯერ |
| „ვაზი" (2108) | 35 | 4,2-ჯერ |
| „ვაზი" („სამარა"—2109) | 45 | 5,0-ჯერ |
| „ოკა" | 15 | 1,9-ჯერ |
| „ტავრია" | 20 | 3,6-ჯერ |
| „მოსკვიჩი" (2141) | 45 | 4,3-ჯერ |
| „ვოლგა" | 80 | 4,0-ჯერ |

მაინც რა არის იმის მიზეზი, რომ „შავი" და „თეთრი" ბაზრები იძულებული გახდნენ გათანაბრებულიყვნენ? მთავარი მიზეზი, ბუნებრივია, საქონლის დეფიციტშია (ცხადია, დეფიციტს თავისი მიზეზი აქვს და ეს მოვლენები მრავალი მიზეზშედეგობრივი ხლართებითაა ურთიერთგადაჯაჭვული, მაგრამ მათი მთლიანი განხილვა საგაზეთო წერილში შეუძლებელია). დეფიციტი არის ის მექანიზმი, რომელმაც „აიძულა" სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკი და კერძო ვაჭარი, რომ საქონელი გაეყიდათ თითქმის ერთსა და იმავე ფასში. მაგრამ შეიძლებოდა თუ არა დეფიციტის პირობებშიც კი არ დაგვეშვა „თეთრი" ბაზრის „გაშავება"? აქ კი მივადექით ქვეყნის მთავრობის შეცდომებს. მთავრობამ სახელმწიფო ვაჭრობის პარალელურად დაუშვა კერძო ვაჭრობა, რამაც ხელი შეუწყო საქონლის ვაჭრობის ერთი სექტორიდან მეორეში გადადინებას. მთავრობამ, გაუფრთხილდა რა საკუთარ სკამს, ვერ შეძლო სახელმწიფო ფასების რეგულირება მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით (ეს, სხვათაშორის, გააკეთა „შავმა" ბაზარმა). შედეგად მივიღეთ ის, რომ ბაზარზე საქონელი რამდენიმეჯერ მეტად ფასობს, ვიდრე სახელმწიფო ფასებია (იხ. ამ პუბლიკაციაზე დართული ცხრილი). მთავრობა იდგა ორი ალტერნატიული ვარიანტის წინაშე: ან უნდა განხორციელებულიყო ვაჭრობის დაუყოვნებლივი პრივატიზაცია, „შავი" ბაზრის ყველა ელემენტის ლეგალიზაცია და ფასების მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია ან უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ფასების დაუყოვნებლივი მომატება და სტაბილურობის მიღწევამდე ვაჭრობის ყველა არასახელმწიფოებრივი ფორმის აკრძალვა. მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია აღნიშნული ვარიანტების ალტერნატიულობას და დაიწყო შერეული ვარიანტის განხორციელება. სადამდე მიგვიყვანა ამ შერეულმა ვარიანტმა, ყველასათვის კარგად ცნობილია.

დღეს ბევრი სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილ სიტუაციას სახელმწიფო ვაჭრობის „გამოუსწორებელ" მუშაკებს, საკომისიო (კომერციულ) მაღაზიებსა და კერძო ვაჭრებს აბრალებენ და არა მთავრობის უუნარობით არსებულ და გაუკონტროლებელ (დაურეგულირებელ) ქაოსურ მდგომარეობას. მთავრობა არათუ ვერ არეგულირებს ბაზარზე შექმნილ ქაოსს, არამედ თავისდაუნებურად ხელს უწყობს კიდეც დესტაბილიზაციას. მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვან აღნიშნულის საილუსტრაციოდ. მთავრობას ყველაზე უკეთ მოეხსენება, რომ რეალური ფასის მიხედვით საშუალოდ 20 მანეთი ერთი დოლარის ტოლფასია. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ბანკები ერთ დოლარს 5,5 მანეთზე ახურდავებენ, სწორედ ამასთანაა დაკავშირებული თურქეთში (და არა მარტო თურქეთში) გამგზავრების ბუმი. საქმე იმაშია, რომ საზღვარგარეთ გამგზავრების შემთხვევაში ჩვენი მოქალაქე საბჭოთა საფინანსო სისტემის „წყალობით" ოცი მანეთი ფასის მქონე საქონელს 5,5 მანეთად ყიდულობს. წავა ასეთ შემთხვევაში სრულიად უცნობის მოწვევით ან ექსკურსიით ჩვენი მოქალაქე თურქეთში? მიდიან კიდეც: წმინდა მოგების ნორმა ხომ ამ დროს 50 პროცენტს აღემატება. ახლა დავუკვირდეთ იმას, თუ რატომ ხდება თურქეთში საქონლის გატანა? რა აზრი აქვს დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნიდან საერთო ბაზრის ქვეყანაში საქონლის გატანას? აქვს კი ის აზრი, რომ ისევ ჩვენი მოუქნელი რეგულირების გამო ჩვენთან ბევრად დაბალი სახელმწიფო ფასებია, ვიდრე საბაზრო ფასები საზღვარგარეთ. წარმოგიდგენიათ, რა პარადოქსებს აქვს ადგილი საბჭოთა მთავრობის ძალისხმევით საბჭოთა საფინანსო-ეკონომიკურ ცხოვრებაში?

მოსალოდნელია თუ არა ბაზრის სტაბილურობა? მართალია ამ სტრიქონების ავტორი საბაზრო ეკონომიკის დიდი ოპტიმისტია, მაგრამ სტაბილურობის რეალური პროგნოზის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადასახედიდან. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარეშე, როგორც ჩანს, შეუძლებელია ბაზრის საქონლით გაჯერება. საბაზრო ეკონომიკა კი საქართველოში, სანამ იგი დამოუკიდებელი არ გახდება, ვერ დამკვიდრდება, თუ იგი ისევ ვერ მოიკიდებს მთელ საბჭოთა კავშირში. ამ უკანასკნელში კი ბატონობს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომელიც ჯერ კიდევ დიდხანს შეუშლის ხელს თავისუფალი ეკონომიკის განვითარებას. ამიტომ საქართველოს მთავრობას [illegible], რომ გარდამავალ პერიოდში განავითაროს შეზღუდული საბაზრო ეკონომიკა. ბუნებრივია, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს საკუთრების, მიწის პრივატიზაცია, დამუშავდეს თავისუფალი ეკონომიკის მექანიზმები. ამასთან, უნდა მოხდეს ფასების ლიბერალიზაცია, ოღონდ ისე, რომ პირველი მოთხოვნის საქონელზე პირველ ხანებში აუცილებლად იქნეს შემოღებული ზღვრული ზედა ფასები (მსოფლიო ფასების დონეზე). საჭიროა დაუყოვნებლივ დაინერგოს ახალი საფინანსო-საკრედიტო მოდელი. ბოლოს და ბოლოს უნდა [illegible] იქნას ფულის კურსირება მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით.

* გაზეთ „ოდიში"-ს ავტორის მიერ საბაზრო ეკონომიკაზე და მის აბსტრაქტულ ოპონენტებზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს თითქმის არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია; მხოლოდ მეგობრებისაგან თუ მოვისმინე მათი შეფასება. სიტუაცია დიამეტრალურად შეიცვალა, როცა ამასწინათ გამოვაქვეყნე წერილი, რომელიც კომერციული ვაჭრობის საწინააღმდეგოდ მიმართული საგაზეთო მასალის კრიტიკას შეიცავდა. ორივე მხარემ —კომერციული ვაჭრობის მომხრეებმა და მესვეურებმა, ერთი მხრივ, და მისმა მოწინააღმდეგეებმა, მეორე მხრივ მიიჩნია, რომ ავტორი არის კომერციული ვაჭრობის (მეორე მხარის თქმით, „სპეკულაციის") აპოლოგეტი, დამცველი, პროპაგანდისტი. ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადო შემდეგი: ჩემი პუბლიკაციის ერთადერთი მიზანი იყო მკითხველისათვის დამენახვებინა, რომ ვაჭრობაში, მათ შორის კომერციულ და საკომისიო ვაჭრობაში, შექმნილი სიტუაცია ასახავს საერთოდ არსებულ არასასურველ, მაგრამ რეალურ კრიზისულ მდგომარეობას და რომ ამაში კომერსანტები არ არიან დამნაშავე; ხალხმა უნდა იცოდეს სინამდვილე, რეალური მდგომარეობა, კრიზისის მიზეზები, მოვლენათა ტენდენციები, მომავლის პროგნოზები და გამოსავლის გზები; ხალხი არ უნდა დავაჯეროთ იმ სიყალბეში, რომ თითქოს დღევანდელი კრიზისული მოვლენები „სპეკულაციითაა" გამოწვეული და რომ „სპეკულანტების" მოკვეთით კრიზისი დაიძლევა.

გოჩა ფიფია,
სმდმსი-ის ზუგდიდის განყოფილების გამგე.

## საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

დაკმაყოფილდეს ფრუნზეს ქუჩის მოსახლეობის თხოვნა, ქუჩის სახელის გადარქმევის შესახებ და მას ეწოდოს ისაკ ქორთუას სახელი.

დაკმაყოფილდეს შ. ჩიტაძის ქუჩის მოსახლეობის თხოვნა ქუჩის სახელის გადარქმევის შესახებ და მას ეწოდოს იმედი გოროზიას სახელი.

დაკმაყოფილდეს ძნელაძის ქუჩის მოსახლეობის თხოვნა ქუჩის სახელის გადარქმევის შესახებ და მას დაერქვას გრიგოლ დადიანის [illegible].

ძერჟინსკის ქუჩის ერთი ნაწილის თხოვნის საფუძველზე შეტანილ იქნას ცვლილება საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 26 სექტემბრის №318 გადაწყვეტილებაში და გაუქმდეს გადაწყვეტილების მეორე მუხლი ძერჟინსკის ქუჩის სახელის გადარქმევის შესახებ. ამასთან ძერჟინსკის ქუჩის მოსახლეობის სურვილების გათვალისწინებით მას დაერქვას ბორის პაიჭაძის სახელი.

# უჩარდიას გუჩარი

რთული, დაძაბული გახდა ცხოვრება. გაძვირდა ღიმილი ჩვენს სახეებზე. ლაღ ემოციურობას, ბუნებისაგან ბოძებულს, ნერვულმა სტრესმა არ უნდა გადაძალოს. და ეს რომ არ მოხდეს მოვუხმოთ ერთგულ მეგობარს—იუმორს. იუმორი ხომ უშრეტი წყაროა ხალისიერი სიჯანსაღისა. აქედან გამომდინარე, სასურველად მივიჩნიეთ გაზეთ „ოდიშის" ფურცლებზე დავამკვიდროთ ახალი რუბრიკა „უჩარდიას გუჩარი". ამ რუბრიკით დროდადრო გამოქვეყნდება სატირულ-იუმორისტული მინიატურები, ხალხში გაბნეული ხუმრობა-ოხუნჯობანი, პოლიტიკური ანეგდოტები...

რუბრიკას გაუძღვება ჟურნალისტი ჯამბულ არქანია.

ქვემოთ გთავაზობთ პირველ პუბლიკაციას.

# საბედისწერო ჯარიმა

ახალშეუღლებულია.

ცოლ-ქმარი ხელებით დაბურული ბაღის გასწვრივ სახლისკენ მიდიან.

—მოდი, შევიდეთ ბაღში, ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ,—სთავაზობს ქმარი მეუღლეს.

—რას ამბობ, ღამით რა გვინდა ბაღში, ვინმეს „იმნაირი" ვეგონებით...

ქმარი არ მოეშვა ცოლს და ბოლოსდაბოლოს დაიყოლია. შევიდნენ, ჩამოსხდნენ მერხზე, მიმოიხედეს... ხედავენ: აქა-იქ შეყვარებული წყვილები ალერსში არიან გართული...

კაცმაც ხელი მოხვია ცოლს, კოცნა დაუწყო, ვინ იცის, რა აზრი უტრიალებდა თავში. უეცრად, სად იყო და სად არა, ალერსში გართულ მეუღლეებს მილიციელი წამოადგათ თავზე.

არ გრცხვენიათ! —ამბობს მილიციელი,— თქვენც იტყვით, პატიოსანი მოქალაქეები ვართო. კეთილი ინებეთ და ჯარიმა გადაიხადეთ!

—კი მაგრამ, ჩვენ ისა... ჩვენ ხომ, —მღელვარებისაგან ენა დაება ქმარს.

—არავითარი მაგრამ, —არ აცლის წესრიგის დამცველი,—შენ, ვაჟბატონო, ხუთ მანეთს გადაიხდი, თქვენ კი ქალბატონო—თხუთმეტ მანეთს.

—მე ხუთ მანეთს მოგართმევთ, მაგრამ გამაგებინეთ, ქალბატონმა რატომ უნდა გადაიხადოს თხუთმეტი მანეთი?—გაანჩხლდა კაცი.

—იმიტომ მოქალაქევ, რომ თქვენ პირველად გხედავთ აქ, ამნაირ სიტუაციაში, ხოლო ამ ქალბატონს —მესამედ, და ყოველთვის გამიხსლტდა ხელიდან.

## მკითხველთა შემოქმედება

# ს უ რ ა თ ი

ყველა თავისი გზისკენ წავიდა...
მე დავრჩი მხოლოდ სულთან მარტოკა
და განთიადზე, მზის მოლოდინში,
დიდი ხანია მოსაღამოვდა.
უკვე მამალმაც იყივლა სადღაც...
მე ისევ ვდგავარ გზაჯვარედინზე,
წყდება ნათელი იმედის ძაფიც
და მეორდება სურათი მძიმე.

გოჩა დარასელია.

კოოპერატივი „გასტროგეპატოლოგი" ექსტრასენსი ნათელა ჭაბუა 10 იანვრიდან იღებს პაციენტებს დავით აღმაშენებლის ქ. №56. 11 საათიდან საღამოს 18 საათამდე. ტელეფონი №2-24-78, რომელიც აკეთებს წერტილოვან მასაჟებს, იღებს როგორც დიდებს, ასევე მოზარდებს. მკურნალობს გულის ჩხვლეტებს, რადიკულიტს, საშარდე ბუშტის ანთებას, კუჭის წყლულს, ნაღვლის ბუშტის ანთებას, ლვიძლს, მუცლის შებერვას, თვალის ანთებას, ბრონქებს, ცილებს და სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებებს.

შვილი იამზ წიფურია, დები: მაცა, ხიხუ, ლენა ბენდელიანები, რძლები: ნაირა ჯოლოხავა, მაია თოდუა, მარო ხაბურზანია. მურა ბუღაშვილი, შვილიშვილები: ნოდარი, ნანა, ნონა, შვილთაშვილი თამრიკო, დისშვილი სულიკო ბერაია. მაზლიშვილები: წერიკა, ბორისი, გოგი. სოსო წიფურიები, ბიძაშვილები: ნათელა, შოთა. ლუდუკი, ბაჩუ, ვულიკო ბენდელიანები ოჯახებით, ახლო ნათესავები იუწყებიან

ძმა დიმიტრის ასულ
ბენდელიანი-წიფურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 იანვარს. გამოსვენება 13 იანვარს. ქალაქ ზუგდიდი, კოლხეთის (ლენინის) ქ. №145, ბინა 25-დან, 5 საათზე. დაკრძალვა რუკინიგზის სასაფლაოზე.

მეუღლე ლილი. შვილები მზია. ციური, მანანა, გიზო. ძმა ბათლომე, რძლები: ხათუნა ბარმენაშვილი, ქეთო ადამია, სიძეები გივი ყლენტი, ალიკა კასრაძე. შვილიშვილები: ლევანი, დალი, ფრიდონი, ნიკა, მიშიკო, გოგი. მონიკა. ცოლისდა ნაზო. დისშვილები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ბონდო პავლეს ძე გუნავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 იანვარს. დაკრძალვა 12 იანვარს. გამოსვენება პაპანინის მესამე შესახვევი 4-დან.

ონარიის სექიმო ამბულატორიის სამედიცინო კოლექტივი იუწყება

საშა ჭამას ასულ
კოდუა-აბშილავას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# მიმდინარეობს ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება

1991 წლის 1 იანვრიდან დაიწყო და 1 აგვისტომდე გაგრძელდება სახალხო მეურნეობისა და ინდივიდუალურ მფლობელობაში არსებული ავტომობილების, მოტოციკლების, მისაბმელების და მისაბმელების სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება.

ტრანსპორტის ინდივიდუალური მფლობელებივალდებული არიან სრულ წესრიგში მოიყვანონ მათი კუთვნილი ტრანსპორტი და დროულად წარადგინონ ტექნიკურ დათვალიერებაზე გაშოძახების გარეშე. ხოლო ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებმა ადგილებზე შექმნან მათზე რიცხული ტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების ჩამტარებელი კომისიები არსებული წესების დაცვით და სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილებასთან შეთანხმებული გრაფიკით უზრუნველყონ მისი ხარისხიანი ჩატარება.

ტრანსპორტის მფლობელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ აკრძალულია ტექნიკურ დათვალიერებაზე უწესრიგოდ გადაკეთებული ავტომანქანების წარდგენა. ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან ახალი მანქანების ტექნიკური დათვალიერების დაწყებამდე დაუბრუნონ პირვანდელ მდგომარეობას. ავტომანქანები ტექნიკურ დათვალიერებაზე უნდა იქნას წარმოდგენილი გამონათებულ ფარებზე სახელმწიფო ნომრების აღნიშვნით და გატარების საწინააღმდეგო მოწყობილობის აღჭურვით.

ავტომოტოტრანსპორტის მფლობელებს, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი სატრანსპორტო გადასახადები და დაწესებულ ვადაში არ წარმოადგენენ ავტომოტოტრანსპორტს ტექნიკურ დათვალიერებაზე დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

ხ. ჭარდავა,

შ. ს. ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების სახ. ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების სახ. ავტოინსპექტორი, მილიციის კაპიტანი.

დედა მაყუ. მეუღლე თინიკო. შვილები ვალერი, გელა, გია, შვილიშვილები თეა. მარინა, მამუკა, ირაკლი, და ლეილა. ძმა აბელი, ძმისშვილები: ჯონდო, ელგუჯა ხვიტიები, რძლები ძაბული ლაჰავა, ნატო კუკავა, ლელა მატახერია, მაკა წირღვავა, ხათუნა გაგნიძე. პაპიკო ქირთბაია, ბიძაშვილები: მოკონა ხვიტია, მზია, ზაირა, ნარგიზა. რევაზი ქირთბაიები, მამიდაშვილები: კუკუშა, სულიკო. თინიკო ჩიქოვანები. დეიდაშვილები პანია, ნოდარი შარანგიები. ლუიზა. რენო. რეზო დგებუაძეები. ცოლისდა ნანული ხუნწარია. ცოლისძმები: ხუნტული. ჯუგუ, ომარი მამულიები, მზახლები თალიკო კუკავა, ლამარა. კანონი მატახერიები, მერი. კოტე წირღვავები, ახლო ნათესავები იუწყებიან

არუსტან ბათვას ძე ხვიტიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 იანვარს. დაკრძალვა 12 იანვარს. გამოსვენება სოფ. რუხი, 9 აპრილის ქუჩა 1-დან 16 საათზე.

შვილები: რეზო. ჯემალი. და მარო. ძმა კალი, მაზლი კალი სხულუხია, რძლები: ნათელა, ნელი. ლუიზა. ნანი, შვილიშვილები: თორნიკე, გელა. ბელა, ნანა, სერიოჟა, დისშვილები: ნუნუ. კუკური. ანზორი, რამაზი. მზია ღურწკაიები, ძმისშვილები: გოგიშა, ციური. იზო, აზა, მადონა ქარჩავები. მაზლიშვილები მერაბი, რუსუდანი, ფატიმა, მალხაზი სხულუხიები, ბიძაშვილი პლატონ ქარჩავა, ახლო ნათესავები იუწყებიან

შალვა ეგნატეს ძე ქარჩავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 იანვარს. დაკრძალვა 13 იანვარს სოფ. ინგირში.

მეუღლე ხურთქი, შვილები: როზეტა, დიანა, შორენა, სიძე გოჩა ხორავა, შვილიშვილები: ფერიდე. სალომე. ძმები ჯაჯი, აპოლონი. და ნორა. რძლები ვალია. ციური. თინა, მადონა. მარინა, სიძეები ვაჟა მორგოშია, მურმან ბულია, ძმისშვილები: ჯონი. უტა, დათო. ემზარი. ინეზა, ავთანდილ თორდიები, დისშვილები: ბესიკი. ნანა. თეა მორგოშიები იუწყებიან

შოთა (იპოლიტე) თედოს ძე
თორდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 იანვარს. გამოსვენება 12 იანვარს ჩელადიდან (გალის რაიონი) დასაფლავება ს. კორცხელში.

„პრომსვიაზმონტაჟის" ზუგდიდის უბნისა და კავშირგაბმულობის ტექნიკური კვანძის თანამშრომლები იუწყებიან

დათო რეზოს ძე კვარაცხელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ფუფუტი. შვილები: ნაირა. ცისანა. ნინო. ქეთო, ლალი. მურთაზი ბარქაიები. დები: კაკა. შურა ბარქაიები, ძმა ლულუნი დაგარგულია. შვილიშვილები: სოფიკო ნინუა, ლაშა, ნონა ბიგვავები, თემურ. ლექსო ცაავები, დისშვილები: დოდო. მერი. ბაჩია, შუხუზი. ბადრი, ეფენიები. ნუგზარი, იზო. მაყვალა კაკულიები, ძმისშვილები: გულნაზი, მანონი. ტუტუ დაგარგულიები, ბიძაშვილები თამარი, ლუდუკი ბარქაიები, სიძეები: ჟნვერ ნინუა. რამინ ბიგვავა, ზურაბ ცაავა, გუგუ კანკია, როლანდ კობახიძე, შალვა როგავა. რძლები: გემოშა აბსანძე, არიადნა ახალაია, ნორა იოსავა, კლარა ჯობავა, ციცო მესხია, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

შალვა იუსტინეს ძე ბარქაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 იანვარს. დაკრძალვა 12 იანვარს სოფელ ურთაში (ჯუმის უბანი) გამოსვენება დღის 4 საათზე.

შვილები: თამარა. გრიშა. ნუცა, მარღანიები, რძალი ძაბუკი დარსანია. სიძეები თარაზხან ზვამბაია. ანტიფო ქობალია. შვილიშვილები გურამი, ჯუბუ. რუსიკო მარღანიები. რეზო. ციცო, კლარა ზვამბაიები, ტიტიკო, ზაური. ემირი, ზაირა ქობალიები. რძლები მედიკო ჯიჭონაია, რუსიკო კონჯარია, ეთერ კაკულია. ციალა ახალაია, ნანა როგავა, სიძეები: ბაჩუკი მაღლაკელიძე. ანატოლ ზარანდია, კოტე შონია, ძმა ბორის ზვამბაია. დისშვილი პალიკო ჩიქოვანი. ძმისშვილები თალიკო. კოტე დგებუაძეები, მაზლიშვილი კოტე მარღანია, შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ხონია (ძაგვა) სერგის ასულ
დგებუაძე-მარღანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 იანვარს. დაკრძალვა 12 იანვარს სოფელ შამგონაში.

შვილები ზურაბი, მიმოზა, დები ბაბუცა, ეპრა. რძლები ფუფა, ცისანა, ჯულიეტა, შვილიშვილები: ლევანი, სოფო გაბუნიები, თამარ კინწურაშვილი, დისშვილები გვანჯი, დული კაკულიები, ფუნთუშა, ბონდო, ჯემალი, რევაზი. ბედიშა. ხუბუები, გულო. ქვაჩი, ზურაბი ჯოჯუები, დათო ჰანია, მაზლიშვილები კოტე, კუჭიკო. ოთარი, თინა, გოგუცა, მზია გაბუნიები იუწყებიან

მაურა სვიმონის ასულ
ჰანია-გაბუნიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 იანვარს. დაკრძალვა 13 იანვარს . სოფ. ორსანტიაში.

რედაქტორი
პ.კ. ჭანტურია.

ზუგდიდის რაიონის არენდული კოოპვაჭრობის კოლექტივი იუწყება

ომსარი კოსტას ძე თოდუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე დათიკო. შვილები მზია. რევაზი. რძლები მანანა ხაფავა. ნორა ბაკარაძე, ლოტო შამუგია. ეთერი ფარცვანია. მედიკო ქარჩავა, სიძეები შოთა ბაქკორია, ჯანიკო კუკავა, შვილიშვილები: ლაშა, თამთა მითაგვარიები, ძმისშვილები: მაცაცა, დოდო. ჯემალი, ზოდიკო. ნაზი. იზო ბერანძეები. დისშვილები: გუგული, მარინე ღლონტები, მულები: ჟუჟა, ინეზა. მაზლი გურამი მითაგვარიები, მზახლები: ლუდა, ციური ხაფავები, დეიდაშვილები. მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

მარგო კონსტანტინეს ასულ
ბერანძე-მითაგვარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11, 12 იანვარს. დაკრძალვა 13 იანვარს სოფელ ახალაბასთუმანში.

შვილობილი ელიზა. სიძე ტიტიკო წურწუმიები, შვილიშვილი სალომე, ბიძაშვილები ვანო, მიტრო. მარუსია. გოგო შულაიები, დეიდაშვილები ლენა. ნორა. თამარა, მამანტი. ტარიელი. კუკური. სევე, ტრისტანი, ლუტი. ტერენტი ფიფიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

გრიშა ფილიპეს ძე შულაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 იანვარს. დაკრძალვა 12 იანვარს სოფელ ჯიხაშკარში.

ზუგდიდის რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების თანამშრომლები იუწყებიან

საშა (ალექსანდრა) ჭამას ასულ
კოდუა-აბშილავას

გარდაცვალებას.

მიმოზა. ბორისი. გიგა ჯიქიები რძლით ლენა როგავათი იუწყებიან

ილუშა აკაკის ძე ნარმანიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დუნა. ნანა, ვანო. თემური თოდუები, ნონა. გურამი ჭკადუები თანაუგრძნობენ კობა თოდუას ოჯახს მამის

ომსარ თოდუას

გარდაცვალების გამო.

სიდედრი ბაბილინა მირგატია, ცოლისძმა გლიმორი ჭკადუა, რძალი ია ნარსია, ცოლისძმისშვილები ჯიმი. ჯილდა, ჯინა ჭკადუები იუწყებიან

ომსარ კოსტას ძე თოდუას

გარდაცვალებას.

ზაირა და შაქრო ბერიშვილები, ტრისტან და იზოლდა თოდუები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

ომსარ კოსტას ძე თოდუას

გარდაცვალებას,

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33 62 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-20

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07. ტირაჟი 8000 შეკ. 3146.